დღეები საქართველოში

უკვე ხუთი წელიწადია, რაც გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების (გსსგ) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გოეთეს კაბინეტის თაოსნობით მარტის მეორე ნახევარში სისტემატიურად ტარდება გოეთეს დღეები. ამჯერადაც, 21 მარტს, მოწვეულ იქნა გოეთეს საზოგადოების სხდომა, რომელიც მიეძღვნა დიდი გერმანელი პოეტისა და მოაზროვნის /გარდაცვალების 160-ე წლისთავს. გსსგ-ს გამგეობას განზრახული ჰქონდა, ფართოდ აღენიშნა ეს მნიშვნელოვანი თარიღი, სახელდობრ, მოეწყო სამეცნიერო სესია, რომელშიც ქართველ გერმანისტებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებდნენ უცხოელი გოეთოლოგებიც, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა, მაგრამ, გარკვეულ გარემოებათა გამო, ლიტერატურულ-მუსიკალური პროგრამით შემოვიფარგლეთ.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა გსსგ პრეზიდენტმა, პროფესორმა დავით ლაშქარაძემ. მან თვალსაჩინოდ წარმოაჩინა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს გოეთეს მაღალჰუმანურ იდეებს, იდეებს, რომლებიც აქტუალურნი არიან და დღევანდელობას ეხმაურებიან, — განსაკუთრებით, გოეთეს მოძღვრებას ახალი საზოგადოების შექმნის, ადამიანის ზნეობრივი განწმენდის აუცილებლობის შესახებ.

შესავალი სიტყვის შემდეგ საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ლიტერატურულმა წრემ პედაგოგ ქეთევან მებონიას ხელმძღვანელობით, გერმანულ ენაზე წარმოადგინა ნაწყვეტები გოეთეს „ფაუსტიდან“, ჯრ. შილერის „დონ კარლოსიდან“. გარდა ამისა, წრის წევრებმა წაიკითხეს გოეთეს ლირიკის ნიმუშები.

მუსიკალურ განყოფილებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული, ფილოლოგიის კათედრის დოცენტმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა მანანა პაიჭაძემ დამსწრეთ უჩვენა მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტის“ ვიდეოჩანაწერი, რომელსაც დაურთო საკუთარი კომენტარები. უაღრესად საინტერესო ვიდეოფილმში აღბეჭდილი იყო „ჯადოსნური ფლეიტის“ 1991 წლის დადგმა ზალცბურგის ფესტივალზე. (დამდგმელი — იოჰანეს შაააფი, სცენოგრაფი — როლფ გლიტენბერგი, დირიჟორი — სერ ჯორჯ სოლტი).

გოეთეს დღეების კულტურულმა პროგრამამ მოწონება დაიმსახურა. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ, უფროსი თაობის წარმომადგენელთა გარდა, ამ ღონისძიებას ხალისით ეს წრება და ამჯერადაც ესწრებოდა მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა.

ნათელა ხუციშვილი,

თსუ გერმანული ფილოლოგიის კათედრის ასოცირებული მასწავლებელი, გსსგ პრეზიდიუმის წევრი.